

1960



№ 16 თბილისის აგვისტო 1960

ბიჭ

გამოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 ზან.

ნახ. გ. ლომიძისა

ჩაის ბუჩქებს მოუქარგავს
 საქართველოს ტურფა ბარი.
 მოდის გმირთა მოწვეული
 დეშვანე ოქროს ნიაღვარი.

თქვენ დიდება, ოსტატებო,
 სამშობლო რომ ასახელებო,
 კვლავაც მეტი წარმატება
 შრომის გმირთა ოქროს
 ხელებს.

მეზიოთონ # 1011 № მეზიოთონ კუკუნი


არტაშა ბაღდასაროვმა ფართო ღიმილით შეაბოჯა ილია ჭავჭავაძის პროსპექტის №40-ში მოთავსებულ თბილისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატის მოდების ატელიეში ამა წლის მარტის დასაწყისში და

— კარგი ხელოსანი რომელი ხართ? — იკითხა.
— რა თქმა უნდა, მე, — დაასწრო სხვებს კუკური გრძელიშვილმა და ხელში მაკრატელი შეათამაშა.

— ერთი კოსტუმი კოსტუმს შემიკერე, კუკლაჯან, და მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— იმისთანა კოსტუმს შეგიკერავ, მართლა «კუკლას» დაგამგვანებ, — დაიძვრა გრძელიშვილმა და ყოველგვარი ბიუროკრატიული გამოსხდომების გარეშე მიიღო შეკვეთა №1829 და ოსტატურად ჩამოწერა მაგიური ციფრები:

44—71—25—18—54—58—58
92—50—59—27—5.



მერე კიდევ მიატრიალ-მიატრიალა ხელყავარჯნიანი კლიენტი, აათვალ-ჩაათვალა და სხვა მუშტარს მიუბრუნდა.



მოუთმენლად მოელოდა ჩაზომვის დღეს არტაშა, რატომღაც შავშვივით უხაროდა, კოსტუმს რომ იკერავდა, გონების თვალთ წარმოიდგენდა, რა კოსტად გამოიწყობებოდა ახალ სამოსში, რა სიამოვნებას იგრძნობდა თვითონაც, როგორ დაუტკობდა თვალთა მზერას ახლობლებსა და ტოლმეგობრებს, ნათესავებსა და გამვლელ-გამომგლელთ.

როგორც იქნა, დადგა ჩაზომვის დღე და დადგა ატელიეს კარებთან არტაშაც.

— კუკური მინდაო, — თქვა მან.
— კუკური ჩვენც კი გვინდა, მაგრამ არ არისო, — მიუვგს.

— კოსტუმის ჩაზომვა მინდაო, — თქვა არტაშამ
— კუკურისთან მიდიო...
— კუკური სად არისო?
— არ ვიციო, თავი დაგვანებ და ხვალ გამოიარეო.

მეორე დღეს ისევ აიტუზა არტაშა ატელიესთან, მაგრამ, ცამ ჩაყლაბა კუკური გრძელიშვილი თუ დედამიწამ, მაინც ვერაფერი გაიკო.



და ასე იარა სახლიდან ატელიეში, ატელიედან სახლში, იარა, იარა და, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ მშვენიერ დღეს წაასწრო კუკურის, დააზმანა კუკურის კოსტუმისმაგვარად რაღაც არტაშას, მერე შეხედა, გახედა, გადახედა, კარგ მათემატიკოსივით მიხაზ-მოხაზა ცარცით, მერე გააძრო კოსტუმი, ჩაინიშნა რაღაც-რაღაცეები და დაიბარა ერთ კვირაში მოდიო. გავიდა ერთი კვირა და მივიდა არტაშაც ატელიეში. მაგრამ აღარც ახლა დაუხვდა კუკური.

— აქ იყო ახლა, — უთხრეს, — გაიარ-გამოიარე და მოდიო.

წავიდა არტაშა გაიარ-გამოიარა და მოვიდა.


უთხრეს კიდევ გაიარ-გამოიარეო.

წავიდა და კიდევ გაიარ-გამოიარა.

მოვიდა და...

კიდევ გაიარ-გამოიარეო...

15 აპრილისათვის შებრებული კოსტუმი მაისშიაც ხელუხლებლად რომ ნახა, გაბრაზდა მუშ-



ტარი, მაგრამ არავის უთქვამს ცივი წყალი დალიეო. ისე დაამშვიდა ხელოსანმა:

— არა უშავს რა, ახლა მოვიცილი შენთვის და ისე გამოგაწყობ, რომ შენი მოწონებულიო. კიდევ ერთხელ ჩააზომ-ჩამააზომა, კიდევ მიხაზ-მოხაზა რაღაცეები, შეასწორ-შემოასწორა და ეს ნახევრად კოსტუმი ისევ თავის ადგილზე დაკიდა...

და ასე იარა და იარა მთელი ორი თვე არტაშამ, იარა ამაოდ და, ბოლოს, როცა გაუწყდა იმედები, კიდევ ერთხელ მივიდა და ახარეს: — მაგარიბი შენზეა, კოსტუმი მზად არის და, შენ იცი, როგორ დაასველებო.

არქიმედს ისე ხმამაღლა არ უყვირია ევრიკაო, როგორც არტაშამ იყვირა — მეშველაო და კედელს სიხარულისაგან ნახევრადგულშეღონებული მიეყრდნო.

ამოცალეს არტაშას ქვითარი, ფული, გაასწორებინეს ანგარიში, გამოუტანეს კოსტუმი, ჩააცვეს...

და უნდა მეთქვა, დაამშვენეს — შეთქი, მაგრამ ჩაიხედა არტაშამ სარკეში და ვერ იცნო თავი.

— ეს ვინ არის? — იყვირა და ისევ შეუღონდა გული.

მოუტანეს ცივი წყალი, მოასულიერეს მუშტარი და, როცა გონს მოვიდა, ისევ იკითხა სასოწარკვეთილი ხმით:

— ქრისტიანები არა ხართ, მითხარით ეს ვინ არის?

— ეს შენა ხარ, — მიუვგს არტაშას.

— თქვენ ვის ატყუებთ, ეს მე არა ვარო.

შეიყარნენ ცნობისმოყვარენი და დაიწყეს კამათი არტაშა ნამდვილად არტაშა იყო თუ არა.

— აქ ყავარჯნიანი კაცი რომ დაიარებოდა, ის არის.

— ყავარჯნით აქ მე დავდიოდი, ახლაც ყავარჯნითა ვარ, მაგრამ, ეს კაცი მე არა ვარ, ამ სისქე არასოდეს ვყოფილვარ, ხელები მოგრებილი არასოდეს არა მქონია, ვინ არის ეს მახინჯი, მე რომ მგავს და თან არა მგავს, გამაგებინეთ, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამო.



— დამშვიდდი, — მიუვგო კუკურის, გააძრო კოსტუმი და ჩაახედა სარკეში, — ეს ხომ შენა ხარ?

— ეს მე ვარ, — წამოიძახა გახარებულმა არტაშამ.

ჰოდა, შენ ხომ შენა ხარ და, აჰა, ესეც შენი კოსტუმი, მშვიდობაში გაცვიეთო, — დაუყვავა გრძელიშვილმა.

თითქოს აქ, იენისის 26-ს დასრულდა ეს ამბავი, მაგრამ არა, არტაშა ბაღდასაროვს შეფუთვნილი დააქვს და დააქვს თავისი კოსტუმი, და ცას და ქვეყანას ევედრება: გადმოხედე მოწყალე თვალთ, ან გააკეთებინეთ ეს კოსტუმი, როგორც საჭიროა, ან კოსტუმის ღირებულება დამიბრუნონ, ამის ჩამცველი მე არა ვარო.

ატელიეს გამგე, ზახარ ივანეს-ძე თულია კი ხელებს იბანს და მხრებს იჩჩავს; ყველამ თავის თავს მოუაროს და მე თავი დამანებონო.

ვენახთ, დაანებებენ თუ არა თავს!

მ. ძარჩაშა





— ხაწყალი ჯორი მოვკალი კარდაკარ სიარულით და ხალხი მაინც ვერ მოვიტყუე კინოფილმ „კარდაკარის“ ხანახავად.

ბორჯომის მატარებელი მიჰქრის ისე, როგორც თანამედროვე ტექნიკას ეკადრება. მიჰქრის არხინად და არც კი იცის, რა გაჭირვებით ვიშოვებ ბილეთები 24 ივლისის კვირა დღით 8 ს. 30 წუთზე, რათა კასპში ჩამეტანა თბილისის 40° — ან პაპანაძეზაში ამომხრავალი სული. მაგრამ აღარაფერს აღარ ვდარდობ. თბილისი უკანაა. ქსანს ვავცდი. სადაცაა კასპი გამოჩნდება და სულს მოვიტყვამ. — მოქალაქე, თქვენი ბილეთი — ზრდილობიანათ მელუნება რევიზორი.

— ინებეთ ბატონო! — ვუბნები მე უფრო ზრდილობიანად და სამ ბილეთს ვაწვდი. რევიზორმა ბილეთს დახედა და წარბშეკრულმა მკითხა:

— სად მიბრძანდებით თქვენ?
— კასპში, ჩემო ბატონო!
— მერე და არა გრცხვენიათ?
— მრცხვენია კი არა, ერთი სული მქონდა როდის წამოვიდოდი! გამიკვირდა მე და, მუღლესა და ჩემს ცოლისდასაც გადავხედე, რომლებსაც აგრეთვე, როგორც შევატყვი, სრულებით არ რცხვენოდათ.
— მეც მაგას გეუბნებით, რატომ არ გრცხვენიათ! — გაბრაზდა რევიზორი.

— უსირცხვილო არ გგონოთ, მაგრამ სრულებითაც არ მრცხვენია, კასპი მშვენიერი რაიონია! — ვკადრე რევიზორს.

— მერე ექვსი მანეთისთვის ამას კადრულობთ? — გადააქნია თავი რევიზორმა.

— რომელი ექვსი მანეთისთვის?
— რა ღირს კასპამდე ბილეთი!
— ცხრა მანეთი!
— ქსანამდე?
— შვიდი! — შემეშველა გამცილებელი.

— ცხრას გამოვაკლოთ შვიდი, რამდენია?

— ორი.
— ორი გავამრავლოთ სამზე? — ნერწყვი გადავყლაპე.

— ექვსი, ზიძია! — მიკარნახა ვილაც პატარა ბიჭუნამ.

— ექვსი! — გავიმეორე მე და იმ ბიჭუნას სულელივით გავუღიმე.

— ზო და, ექვსი რომაა, იმას გეუბნებით მე. ექვსი მანეთისთვის მთავრობას ატყუებთ?

— რას ჰქვია მთავრობას ვატყუებ, ყმაწვილო, ჩვენი ტყუილი ვინ თქვა! — იკივლა ჩემმა ცოლმა.

— ერთი კი მოგვატყუა, ჩემი და რომ ცოლად წაიყვანა, თორემ მაგის ტყუილი მერე არ გამოგონია. — დამიცვა ცოლისდამ.

— არა ხომ? აბა რაა ქსანამდე რომ ავიღიათ ბილეთი და კასპში რომ მივირითობთ: კარგია ხომ მუქთად სვირნობა?!

კონტროლიორს ბილეთები ჩამოვართვი და შუბლზე დაყრილი ოფლი მოვიწმინდე — ბილეთებს გარკვევით ეწერა

№. 4877, 4878, 4879 თბილისი-ქსანი.

მატარებელი № 66

— მე, ბატონო, თუ ჩემს პატიოსნებას ენდობით... — ავლულულული,

— კასპამდე ვიყიდე ბილეთები და 29 მანეთი გადავიხადე მე... მე მეოთხე სალაროში მომიყ-

დეს, ვილაც ხანში შესული კაცი იყო. არც დამხედია ბილეთებზე...

— განათლებული კაცი ჩანხართ და რას კადრულობთ! გადაიხადეთ ჯარიმა! — გამიჯვრდა რევიზორი.

— რატომ, ბატონო?

— იმიტომ, რომ ქსანში უნდა ჩასულიყავით.

— კი მაგრამ, მატარებელი რომ არ გაჩერებულა ქსანში?

— მართლა?! — გაუკვირდა რევიზორს.

— მართლა! — გაუსარდა ჩემს ცოლს.

— მაინც ჯარიმა.

— არ გადავიხდი!

— აქტს შევადგენ!

— შეადგინე!

«1960 წლის 24 ივლისს მატარებელ №66-ზე «თბილისი-ბორჯომი», მოქალაქე ამან და ამან...»

— მაგაზე მე არ მოვაწერ ხელს ვთქვი მე დინჯად და რევიზორს ბილეთი მივაწოდე. — რა რიცხვი აწერია ამას?

— ოცდახუთი! — თქვა რევიზორმა.

— დღეს რა რიცხვია?

— ოცდაოთხი.

— ესე იგი თქვენ უნდა დამაჯარიმოთ ხვალ!

— რაო?

— რაო და, ოცდახუთი რიცხვის ბილეთები მოუცია მოლარეს და თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ დააჯარიმოთ მოქალაქე დღეს რომელიც მგზავრობს ხვალ.

— მართალი ხართ! — გაედიმა რევიზორს და წავიდა. გამედიმა მეც და კასპში ჩავედი.

ალბათ № 4 სალაროს მოლარესაც გაედიმა, როდესაც კასპის მაგივრად ქსანის ბილეთი მომცა, 6 მანეთი ზედმეტი გადაიხადევი, და დღეს ნაცვლად გამამგზავრა ხვალ. იღიმება ალბათ მოლარე, იღიმება კი არა, ხარხარებს, მაგრამ, იმედია, რკინიგზის სამმართველო, დღეს თუ არა ხვალ, მაინც ჰკითხავს რა აცინებს მოლარეს.

მიმკითხე ვიშვასკრა სკეჩი!



კამათი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებდა, როცა დარეჯანი ელუკის თანადასწრებით შვილს გაუჯავრდებოდა რამზე.

შვილი გინდა ერთი ჰყავდეს დედას და გინდა ათი, ყველა ერთნაირად ძვირფასი და საყვარელია. მაგრამ პირველ შვილს მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია დედის გულში.

დარეჯანი არც ფარავდა დედის ამ დიდ გრძნობას და თავის პირმშოს მალ-მალე ესიყვარულეობდა:

— გენაცვალოს დედა, შვილი!.. ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო... დედას ბიჭი!.. დედას სიყრმის შვილი...

მაგრამ ნუ იტყვიოთ და, პირველ შვილიშვილს თურმე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბებიათა გულშიც. ამიტომ რამდენჯერაც დარეჯანი ბატარა გურამს მიუალერსებდა, იმდენჯერ თავისი გრძნობების დასამტკიცებლად ელუკიც შეუბაქებოდა რძალს:

— ახლა, ჩემთვის რა იმედია აი ბაბანა, აღარ იკითხავ?!. შენ ჯერ რა იცი შვილის სიყვარული, რაცხა ერთი წელია დედა ვახდი, მე კი... შვილებნის გაზრდაში თმა ჭადარით დამეფარა და იმათ ცქერაში თვალეში სინათლე დამაკლდა... მომეცი აქეთ ბავშვი!.. ენაცვალოს ჩემს ტუხა ბიჭს ბებია... მოდი ბებიასთან, ჭირიმე, მოდი, ჩემო სიამაყე!..

გურამი უკვე რვა წლის გახდა, რძალ-დედამთილს შორის კი ბიჭის შეძენილი ბზარის გამო თელება ვერა და ვერ იქნა.



ნანა გ. ფირცხალავასი

— წავიდეთ, ეს ბოლო ტროლეიბუსია!
— რას ამბობ, გოგო, გამოცდების შემდეგ ორიანი თვალის დახანაზავად მიზარება!

— აღამიანო! ეს არის შვილი მიყვარსო და კიდევ სხვა მრავალი ესაო და ისაო?!. მოეშვი ბავშვს, თავი ნუ გაუსივებ შენი საყვედურებით, როგორც შეუძლია, ისე სწავლობს. არ არის საჭირო ყველა ფრიადოსანი იყვეს.

— მაშ, არ გავჯავრდე?!. არითმეტიკაში ისევ ორიანი მიუღია. ახლავე თუ არ მივაქციეთ ამ გარემოებას ყურადღება, დარჩება იმავე კლასში.

— აი დარდი!.. დარჩება და დარჩეს... ოღონდაც თვითონ მყავდეს კარგად და, თუ უნდა, სულაც ნუ ისწავლის.

— ვაშა!..— იყვირა გახარებულმა გურამმა. — მაშ, ხვალიდან შეიძლება აღარ წავიდე სკოლაში?.. აღარც გაკვეთილებს მოვამზადებ?..

— გურამ, სისულელეს ნუ ამბობ... ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოს აუცილებლად. აბა, როგორ, გინდა უსწავლელი იყო?!.— მკაცრად უთხრა დარეჯანმა შვილს.

— ბებია! ხომ თქვა, თუ უნდა, ნუ ისწავლისო... ბები, ხომ ასე თქვი?

— ბებია გაგებურა!
— არც მიფიქრია ხუმრობა.— მიახალა რძალს ელუკიმ.

— აი, ხომ გაიგონე, ხომ გაიგონე!— ნიშნის მოგებით თქვა ბიჭმა და არხეინად წამოგორდა ტახტზე.— მომამორეთ წიგნები, დავილაღე.

— დაისვენე, ბებია გენაცვალე, დაისვენე და მერე გულის გასაგრილებლად ნაყინს გიყიდი.

— მერე არა, ახლა მინდა ნაყინი...— გაჭირვებულა გურამი.

— გურამ, მოისვენე!..— გაუჯავრდა დარეჯანი შვილს და აღშფოთებულა დედამთილს მიუბრუნდა: — ბოლოსდაბოლოს, მე დედა ვარ და, ძალიან გთხოვთ, მომეცით საშუალება აღვზარდო შვილი როგორც წესია.

— მე კი ბებია ვარ!.. დიხა!..— ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა თქვა ელუკიმ.— და სწორედ რომ არ მოგცემ უფლებას, ჩემი ერთადერთი შვილიშვილი დამიჩაგროს.. გურიკო!.. წავიდეთ შვილო, ეზოში, ნაყინს ახლავე გიყიდი.

— გურამ!— დაიყვირა არაადამიანური ხმით დარეჯანმა.— ფეხი არ გაადგა სახლიდან. შენ დღეს არ შეჭამ ნაყინს. შენ დასჯილი ხარ!..

— გურიკო! წავიდეთ, ბებია გენაცვალე, ეზოში შენ ხომ გინდა ნაყინი?



ბავშვი გაოგნებული მისჩერებოდა ხან დედას, ხან ბებიას და ვერ გადაეწყვიტა ვისთვის დაეჯერებინა.

— გურამი... ნაყინი აღარ გინდა, ჭირიმე? წამოდი, გენაცვალე...— ეჩიჩინებოდა ბიჭს ბებია.

— გურამ, არ წახვიდე!..— ისტერიკულად გაპყვიროდა დარეჯანი.

— წავიდე თუ არ წავიდე, ბოლოსდაბოლოს! — აბუზღუნდა ბიჭი.

— ყურს ნუ უღებ დედაშენს. დედები ყველანი გიყები არიან. წამოდი ბებიასთან!

— ბები, მაშ შენც გიყი ხარ?— გადიკისკისა ერთბაშად გურამმა და ტახტზე კოტრიალი დაიწყო.

— გურამ!..— გაისმა ბავშვის მამის აღშფოთებული ხმა, რომელმაც შემთხვევით შემოუსწრო ამ ლაპარაკს.— ეგ რა თქვი, გურამ!.. ახლავე ბოლიში მოუხადე ბებიას, თორემ, ვაი შენი ბრალი!.. იცოდე, დაგსჯი!..

— ბაბანას რას ერჩი, ეგ რა შუაშია?— გამოექომაგა შვილიშვილს ელუკი.— აღამიანის აღზრდაზე ვინც არის პასუხისმგებელი, პასუხიც იმას მოსთხოვე... არა, არა, ახლანდელმა ახალგაზრდებმა სულ არ იცით შვილების აღზრდა.

— მე და დარეჯანი კი ვგრძნობთ ჩვენს დანაშაულს, მაგრამ... შენ, დედა?...— ვერ დაფარა ღიმილი ვაჟმა.

— მე, რა?.. მე ბებია ვარ...— თქვა ელუკიმ და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

ნანა კანდელაკი

ქინიატყრეტი

სანატორიუმის საწყობის გამგეს კორესპონდენტი ეწვია და თხოვა კბილგასაკრავი გეგნებით რამეო.

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენსკენ ცუდი გზებია, მგზავრობას გაუბრძინ და მეგონა, აქამდე ვერავინ მოაღწევდა. ამიტომაც, ბატონო ჩემო, რაც კი კბილგასაკრავი იყო, მე გავკარი კბილი და თქვენთვის აღარაფერი დარჩაო.

— პატივცემულო დირექტორო! თქვენ დასასვენებელ სახლში ულუფა ისე მცირეა, ნახევრად მშვიერი ვარ.— შესჩვილა დამსვენებელმა დირექტორს.

— მერე, მაგის წამალი არ იცი ამხელა კაცმა?! აგერ, რესტორანი, მიბრძინდი, ბატონო და რამდენიც გასურდეს, იმდენი მიიბრძინო!

სატირა

კვირა დღე იყო და, როგორც მარცხენა ფეხზე ავდექი, ამან შედეგი ჩქარა გამოიღო. ცოლმა მშვიდად მომაჩაჩა ხელში ჩანთა და ბაზრისაკენ მიკრა თავი.

— აბა, ლაქები ამოვიყვანო, ლაქები! — გაჰკიოდა ბაზრის წინ ცალფეხა კაცი. წინ ოთხკუთხედი, ნაირფერადი ტაბლეტი გაემწკრივებინა. ხელში ოსტატურად ატრიალებდა ჯაგრისს.

— ... ქიმიის პასლედნი დასტიყენია „ქ-1“ უკეთესი ტაბლეტკა «ქ-40» მაზუთის, კრასკების, ღვინის, სემიჩკის ზეთის, მაროჟინის ერთ მიწუტში გავაქრობ! აბა, ყელაიუშჩი! — ბაქალუსტა, მობრძანდი, რისი გეშინია? აი, რამოტოლა ბიატონ გქონია!

— «ქ-40» რას ნიშნავს? — შევეყვანდი მე.

— ... ჟორა მქვია, ორმოცი წლისა ვარ... ეს იქნება დედაკაცის დაფასება... აი, ქმარი, მესმის! აბა, მიყურეთ!

მან კიტელზე წყალი მომასხა, მოწითალო ფერის ტაბლეტი აიღო და უხვად წამისვა ოდნავ დალაქავებულ ადვილზე.



— ჯერ გაწითლდება, ნუ გეშინია. მერე გაშავდება, და სულ მერე გაქრება, როგორც ახალი, ისეთი იქნება...

პირველი ორი წინასწარმეტყველება მალე გამართლდა...

მესამე იგვიანებდა.

ათიოდე წუთი გულმოდგინე ხეხვის შემდეგ, შემომხედა და ორჭოფულად მკითხა:

— ახანავო, ეს რითი დაილაქავე?

— რა ვიცი... არ მახსოვს!

— აი, რომ გახსომდეს. ხუთ წუთში ამოვიყვანდი... ნიჩევო, გული მაინც არ გაიტენო...

კიტელს თანმიმდევრობით ემატებოდა ყველა ფერი, რაც იქ იყო გამწკრივებული. წითელმა, მწვანემ, ყვითელმა, შემდეგ ლურჯმა, ყავისფერმა, იისფერმა და ბოლოს, ჭუჭყის ფერმა იმატა.

ჩქარა აბსტრაქტულ ნახატს დავეგვანე.

— მაშ ამოტელა კაცმა ვერ უნდა მოიგონო 'რითი დაილაქავე? — თავაუღებლად მკითხა «ქიმიკოსმა» — ქონით?

— არა.

— მაროჟინით?

— არა.

— ღვინით?

— ვინ გგონივარ შენ? — ახლა კი შემოგწყრი. შენ ის გირჩევნია, ეს კიტელი გამოირეცხო!

— ვაპ, ეგლა მაკლია, მე მარტო ლაქაზე მოგირიგდი...

— მერე, ეს ლაქაა?

— მა რა არის? ხალხო, ლაქა არ არის? რასაკვირველია, ყველა დაეთანხმა.

— თუ გინდა, ხათრის გულისათვის, გაგიწმენდამ. თუ არა და წადი, ძმავო, არ მინდა შენი ფული!

«ხათრმა თავისი გაიტანა და ხეხვა გაგრძელდა. უცებ ლაქა გაქრა და თეთრი ფერი გამოჩნდა. გაკვირვებისაგან ხალხს ოხვრა აღმოხდა; ქიმიკოსს და მე ენა ჩაგვივარდა.

ნაჭერმა ხეხვას ვერ გაუძლო და ჩაიხა, შიგნიდან ჩემი «ქათქათა» პერანგი გამოჩნდა.

ქალეზმა ზურგი შეგვაქციეს. მიმოვიხედე. კიტელი გავიძვრე, ქიმიკოსს მიგუბრუნდი, მაგრამ...

ქიმიამ თავისი მაინც გააკეთა.

ეს ცდა ბრწყინვალედ ჩატარდა.

ქიმიკოსი თვალსა და ხელს შუა აორთქლდა.

ერთხელ კიდეც დავრწმუნდი ამ მეცნიერების მაგიურობაში და შინ მიხვეულ მოხვეული გზებით დავბრუნდი...

წ. გეგაზაშვილი



ნახ. დონისა

დომენტი სპირიდონიჩი, ხელეზზე რა დაგემართათ?

— წუხელ რესტორან „ყაზბეგიდან“ ამოვდიოდი და ვილაცა მთვრალმა ფეხები დამადგა!

მე მასზე შევეარებული ვარ. მან ეს არ იცის, იგი თითქმის ყოველდღეა ჩემთან. სულ ახლოს. ლაპარაკობს ხამუშ-ხამუშ, ზოგჯერ ისეთ საკითხებზეც მესაუბრება, რომლებიც ოდნავადაც არ მაინტერესებს. მეც ხანდახან ვეპასუხები: მაგრამ მას ჩემი არ ესმის და თავისას განაგრძობს. დამე, როდესაც ძილის დრო მოდის, ის შემშვილებება.

ძალიან სანდომიანად მიღიმის და მე მსიამოვნებს, თუმცა მაინც ვბრაზობ, რადგან იგი ყველასთან ისე იქცევა, როგორც ჩემთან. მას ხშირად კანკალი იტანს, მე კი მთვრალივით ვარ და ორად მეჩვენება იგი. ვეღარ მოვიმინე და ამას წინათ შუბლზე ვეამბორე. მაგრამ არავითარი რეაქცია, ცივია, როგორც ყინული. ხელი თავზე გადავუსვი და სითბო ვიგრძენი. იგი ძალიან ლამაზი გოგონაა, მაგრამ არ ვიცი გათხოვილია თუ არა.


დღესაც მენატრება, მაგრამ, ოთხშაბათობით გადმოცემა არ არის.

გ. ბატარიძე



ინგლისის ჯარებმა დახვედით გერმანია-
ში ჩაატარეს მანევრები სახელწოდებით—
„ბრმა თავი“.

(გაზეთებიდან).



— შეხედე, ბრმა მოდის, ტანკს არ
დაეჯახოს!